სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ციტრუსის მოსავლის 78%-ზე მეტი რუსეთში გაიგზავნა ექსპორტზე

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბოლო მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტზე 26 061 ტონაზე მეტი სტანდარტული მანდარინი გაიგზავნა, ხოლო 9 000 ტ-მდე ადგილზე გადამუშავდა. როგორც სამინისტროში განაცხადეს, სტანდარტული მანდარინი ექსპორტირებულია ძირითადად რუსეთში - 20 389 ტ (78,23%), უკრაინაში - 3 878 ტ (14,88%), სომხეთში - 785 ტ (3,01%), ყაზახეთში - 447 ტ (1,72%), აზერბაიჯანში - 247 ტ (0,95%), ბელორუსში - 242 ტ (0,93%), სხვა ქვეყნებში - 74 ტ (0,28%). მანდარინის გადამუშავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1,83 მილიონი ლარი, 894 325 ლარის სახელმწიფო სუბსიდიის ჩათვლით, განაცხადეს სამინისტროში.

Sarke Information News, 22 იანვარი, 2016

სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ დამტკიცებულია

მთავრობამ დაამტკიცა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“. პროგრამა დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებებით. პირველი ეტაპის, რომლის ბიუჯეტი 3,5 მილიონი ლარია, განხორციელება დაგეგმილია 2016 წელს. მეორე ეტაპი დაიწყება 2017 წლიდან და მისი ბიუჯეტი უნდა განისაზღვროს 2016 წელს დაფინანსებული კოოპერატივების რაოდენობის შესაბამისად. მთავრობის შესაბამისი განკარგულებით, ბენეფიციარის ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის თანადაფინანსება მოხდება შემდეგი პირობებით: ხარჯების 60% იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი, არ არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და 80% - კოოპერატივის შემთხვევაში. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციები გადაეცემა იჯარით პროგრამის ბენეფიციარებს შემდეგი პირობებით: იჯარის ვადა - 25 წელი, საიჯარო გადასახადი - 50 ლარი ჰა-ზე წლიურად.

Sarke Information News, 22 იანვარი, 2016

EUGEORGIA.INFO: „მიწის საკუთრებით დაინტერესებულმა პირებმა უნდა გაზომონ და ხელახლა დაარეგისტრირონ მიწის ნაკვეთები“

ცვლილებების პროექტით კანონში „საჯარო რეესტრის შესახებ“, სახელმწიფო დააკანონებს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, რომლებიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში დღემდე. ამასთან, სახელმწიფო შეზღუდავს 1 წლის ვადით იმ მიწის ნაკვეთების განკარგვას და გასხვისებას, რომლებზეც საკუთრების უფლება არ დასტურდება. ამ პერიოდის განმავლობაში, პოტენციურმა მფლობელმა უნდა განაცხადოს მფლობელობის შესახებ, წარადგინოს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მის საკუთრების უფლებას. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოითხოვა კანონპროექტის განხილვა დაჩქარებულ რეჟიმში და ცვლილების მიღება 1 იანვრიდან. პარლამენტმა უარი თქვა დაჩქარებულ განხილვაზე და დაუბრუნა კანონპროექტი სამინისტროს მოთხოვნით, შეცვალოს ზოგიერთი პუნქტები. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ვახტანგ ხმალაძემ

განაცხადა, რომ ინიციატივამ გააჩინა ბევრი კითხვა და მოითხოვა, რომ სამინისტრომ გაითვალისწინოს არსებული შენიშვნები. „ახლა ჩვენ გვაქვს ასეთი სიტუაცია არარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით: მიწა სახელმწიფოს ან თვითმმართველობის საკუთრებაშია, ან არც ერთ მათგანს არ აქვს დარეგისტრირებული“, განაცხადა ხმალაძემ და დასძინა: „ცვლილებების შესაბამისად, იმ მხარეს, რომელიც პირველი შეიტანს განაცხადს რეგისტრაციაზე, ექნება პრიორიტეტი“. „შესაბამისად, ვის ინტერესებში კეთდება, რომ თვითმმართველობებმა ვერ მოახდინონ მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია და გაყიდონ ისინი მოგვიანებით“, იკითხა მან. სტატიაში მოყვანილი მონაცემებით, მიწის მხოლოდ 20% არის რეგისტრირებული ქვეყანაში, რაც 120 000-160 000 ჰექტარია. თუმცა, ამ მიწის დიდი ნაწილი უნდა იყოს რეგისტრირებული თავიდან, რადგანაც ამ ნაკვეთებს არ აქვს გრაფიკული რუკები ან რეგისტრაციის მოწმობები და გარდა ამისა, 2005-2008 წლებში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფართობები არ არის დაკონკრეტებული. „კანონის ცვლილებები ემსახურება ორ მიზანს, მოწესრიგდეს მიწის რეესტრი და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება გამოიყოს კერძოსგან“, აცხადებს სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე ირაკლი შენგელია. „მიწის ინვენტარიზაციის პროცესი გრძელდება 1 წლის განმავლობაში. თუმცა, ამ ვადის შემდეგ, საკუთრების უფლება არ გაუქმდება ავტომატურად. გაუქმება იქნება შესაძლებელი ქონების მართვის სააგენტოს განცხადების საფუძველზე და მას შემდეგ, რაც 100%-ით დადასტურდება, რომ ეს არის სახელმწიფოს საკუთრება და არა კერძო“, განაცხადა შენგელიამ. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილება კანონში ბადებს რისკს, რომ სახელმწიფომ შეიძლება მიითვისოს კერძო საკუთრება. რისკი შეიძლება შეეხოს მემკვიდრეობით მიწის ნაკვეთებს, რომლებიც ოჯახის კუთვნილებაშია უკვე საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ ოჯახს არ აქვს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები სხვადასხვა მიზეზების გამო, ნათქვამია სტატიაში. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ იუსტიციის სამინისტროსთვის USAID-ის ექსპერტების მიერ შედგენილმა დოკუმენტმა შეიძლება გამორიცხოს ეს და სხვა რისკები. მათ შესთავაზეს სამინისტროს, გამოაცხადოს მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულად იმ შემთხვევაში, თუ სარეგისტრაციო მოწმობა გაიხსნა მასზე, ისევე, როგორც, თუ პოტენციურ მფლობელს აქვს მიღების აქტი. USAID-ის ექსპერტების აზრით, აღნიშნული შეთავაზება საშუალებას მისცემს სახელმწიფოს გაამარტივოს მიწის ნაკვეთების 70%-ის რეგისტრაცია. თავის მხრივ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა რამდენიმე დღის წინ, რომ მთავრობა გეგმავს შეიმუშაოს წამახალისებელი წესები კერძო მფლობელებისთვის მიწის რეგისტრაციისას. იუსტიციის სამინისტრო დაეხმარება იმ კერძო მფლობელებს, რომელთაც არ აქვთ შესაბამისი დოკუმენტაცია, მოიძიონ დოკუმენტები ყოფილ ტექნიკურ ბიუროში ან სხვა დაწესებულებებში, რაც გაამარტივებს ქონების რეგისტრაციას (გამოქვეყნდა18 იანვარს, 19:19).
Sarke Information News, 20.01.2016

დავითაშვილი: ქართული ღვინის ცენტრი გაიხსნება ძიანსიში, ჩინეთი

ღვინის ეროვნულ სააგენტოში განაცხადეს, რომ ქართული ღვინის ცენტრი გაიხსნება ჩინეთის პროვინცია ძიანსიში (Jiangxi) ამ წლის თებერვალში. სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილმა განიხილა თანამშრომლობის საკითხები დღეს გამართულ შეხვედრაზე პროვინცია ძიანსის წარმომადგენელ საინვესტიციო კომპანიასთან Silk Road. ცენტრი იფუნქციონირებს 4 000 კვ. მ ფართზე და ექნება ექსპოზიცია და დეგუსტაციის დარბაზები, მუზეუმი, ღვინის კოლექცია, ქართული რესტორანი და ა.შ.,

სააგენტოს ცნობით, 2015 წელს ქართული ღვინის ექსპორტი ჩინეთში გაიზარდა 122%-ით და მიაღწია 2,67 მილიონ ბოთლს (0,75 ლ). ჩინეთი მე-4 ადგილზეა ქართული ღვინის ექსპორტის თვალსაზრისით, რუსეთის, ყაზახეთის და უკრაინის შემდეგ.
Sarke Information News, 18.01.2016

Prime Fresh მოაწყობს სამაცივრე მეურნეობას თბილისში

მთავრობის დადგენილებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გადაეცემა შპს Prime Fresh-ს პირდაპირი მიყიდვის წესით 1 ლარად. საქმე ეხება 2 127 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს შენობებით, რომელიც მდებარეობს თბილისში (მოსკოვის გამზ. 31ა). სანაცვლოდ, კომპანია ვალდებულებას იღებს მოაწყოს აღნიშნული უძრავი ქონების ტერიტორიაზე სამაცივრე მეურნეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2 წლის განმავლობაში ამ დადგენილების მიღების შემდეგ. ამ მიზნით, შპს Prime Fresh-მა უნდა მოახდინოს 1,38 მილიონ ლარამდე ინვესტირება და ამ ინვესტიციის 25% უნდა ჩაიდოს პირველი წლის განმავლობაში. შპს Prime Fresh რეგისტრირებულია 2015 წლის ნოემბერში და მისი მფლობელები არიან დავით სამუშია (34%), ოთარ მარცვალაძე და მალხაზ კაკაურიძე (33% - თითოეულს).
Sarke Information News, 15.01.2016

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: ესპანელი ბიზნესმენები დაინტერესებულნი არიან კახური ღორის მოშენებით

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ესპანური კომპანია DeRaza Iberico-ს მენეჯერები ეწვივნენ სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს. კომპანია დაინტერესებულია კახური ღორის მოშენებით, განაცხადეს სამინისტროში. სამინისტროს ცენტრის ინფორმაციით, ესპანეთის დელეგაცია ეწვია ღორის ფერმებს ახმეტაში (კერძოდ, პანკისის ხეობაში) და თელავის მუნიციპალიტეტში, კახეთის რეგიონში, ასევე, დუშეთს და თიანეთს (მცხეთა-მთიანეთის რეგიონში). პროექტის მიზანია გამოიყენოს საქართველოს ტყეები განსაკუთრებული ღორის ხორცის საწარმოებლად, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ბაზრებისთვის, განაცხადეს სამინისტროში.
Sarke Information News, 14.01.2016

„ქათმის და კვერცხის წარმოება დისკრიმინაციულ პირობებშია“

„ჩვენ უნდა გადაგვეხადა დღგ ქათამზე, ჩვენ ვერ ვუწევდით კონკურენციას იმპორტირებულ პროდუქციას და იძულებული გავხდით დაგვეხურა წარმოება“, განაცხადა კომპანიის „კუმისი“ დამფუძნებელმა ზურაბ უჩუმბეგაშვილმა. „კუმისმა“ შეაჩერა ქათმის წარმოება 2012 წლიდან, როდესაც საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს დღგ-ს (18%) დაკისრებას, ძალაში შევიდა და ამჟამად მხოლოდ კვერცხს აწარმოებს. „2008 წლის აგვისტოში დღგ დაეკისრა კვერცხსაც. ჩვენ დავიწყეთ გაპროტესტება, მაგრამ ომი დაიწყო და ამ საკითხის მოგვარება ვეღარ შევძელით“, განაცხადა უჩუმბეგაშვილმა. შპს Rosteri-ს (საოჯახო მეურნეობა) მფლობელი როსტომ პაპიძე ამბობს: „თუ დღეს ქართული ქათმის წილი დაახლოებით 15-20%-ია, დღგ-ს გაუქმების შემთხვევაში ჩვენ შეიძლება 100% დავიკავოთ. ფასი იქნება შესაბამისად უფრო დაბალი, ვიდრე იმპორტირებულ პროდუქციაზე“. სტატიაში

დასმულია კითხვა, რა უფრო მომგებიანია გრძელვადიან პერიოდში - სახელმწიფოს მიერ უარის თქმა 40 მილიონ ლარ შემოსავალზე, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, თუ ზრუნვა ბიუჯეტზე? ISET-ის (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) პოლიტიკის ინსტიტუტის ექსპერტის რატი კოჭლამაზაშვილის განცხადებით, იმისათვის, რომ ამ კითხვაზე პასუხი გაეცეს, კვლევა უნდა ჩატარდეს. კოჭლამაზაშვილს მოჰყავს საქსტატის მონაცემები, რომლის თანახმად, საქართველოს თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 2014 წელს შეადგენდა 96%-ს კვერცხზე, ხოლო ქათამზე - 25%-ს, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია სხვა სახის ხორცთან შედარებით, ძროხის ხორცზე (70%), ღორის ხორცზე (42%) და ცხვრის ხორცზე (79%). „დღგ-გან გათავისუფლება გამოიწვევს შედარებით დაბალ ფასებს მომხმარებლისთვის, მაგრამ შეამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს დღგ-გან კვერცხზე“, განაცხადა კოჭლამაზაშვილმა. პარლამენტის აგრარულ კომიტეტში აცხადებენ, რომ არსებობს დიდი ალბათობა, რომ ქათმის და კვერცხის დღგ-გან გათავისუფლება არ მოხდება უახლოეს მომავალში (გამოქვეყნდა 13 იანვარს, 15:45).
Sarke Information News, 14.01.2016

სარეკორდო ციფრები გამოფენიდან „Agro+Food+Drink+Tech Expo Georgia“ თბილისი 2015

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, სურსათის და სასმელების, ასევე შეფუთვის მე-15 საერთაშორისო გამოფენა დასრულდა დამთვარიელებლების სარეკორდო რიცხვით. 16 ქვეყნის 131 მონაწილე, ძირითადში საქართველოდან, გერმანიიდან, უკრაინიდან, ესპანეთიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან და ჩინეთიდან, წარმოადგენდა 5 ათას სპეციალისტს საქართველოდან, სომხეთიდან, აზარბაიჯანიდან, ბელარუსიდან და რუსეთიდან ოთხ დარბაზში და ღია სივრცეში. „Agro+Food+Drink+Tech Expo Georgia“ ორგანიზებულია საქართველოში და IFWexpo ჰაიდელბერგი წარმოადგენს ორგანიზატორ-პარტნიორს ევროპაში. ბაზრობა-2015 წარმატებული იყო პროგრამის ვრცელი ჩარჩოს წყალობით Georgia Agro Forum-თან და ცხოველთა დაავადებების თემატურ კონფერენციასთან ერთად, ასევე დამთვალიერებელთა დიდი რიცხვის და საქართველოს მთავრობისგან საგრძნობი ოფიციალური მხარდაჭერის წყალობით. დამთვალიერებელთა შორის იყო სოფლის მეურნეობის 2 500 წარმომადგენელი საქართველოს ყველა რეგიონიდან, ასევე თემატური გამოფენების დამთვალიერებლები სომხეთიდან და აზარბაიჯანიდან, რომლებიც ჩამოვიდნენ ორგანიზატორების მიერ უზრუნველყოფილი ავტობუსებით. გამოფენა გახსნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, საქართველოში ევროკავშირის ელჩის მოადგილემ კარლო ნატალემ, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მინისტრის მოადგილემ Zofia Zalczyk-მა, თურქეთის ელჩმა საქართველოში Zeki Levent Gumrukcu-მა და სხვა მაღალმა სტუმრებმა. გამოფენის მონაწილეებმა, მათ შორის ისეთმა დიდმა აგრომრეწველებმა, როგორიცაა KWS, Claas, Big Dutchman, Kronen, Plattendardt+Wirth und Zucami, წარმოადგინეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სასაწყობე და სამაცივრე დანადგარები, მელიორაციული სისტემები, მეცხოველეობის, მეთესლეობის და პესტიციდების ტექნოლოგიები, კვების პროდუქტების და სასმელების გადამამუშავებელი ტექნიკა. გამოფენაზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად 90% კმაყოფილი იყო დამთვალიერებელთა რიცხვით და ხარისხით, ხოლო მათი 95% გეგმავს შემდეგ წელსაც მიიღოს ამ გამოფენაში მონაწილეობა. „Agro+Food+Drink+Tech Expo Georgia“ შემდეგი გამოფენა დაგეგმილია 2016 წლის ნოემბერში. *IFWexpo*

ღვინის ეროვნული სააგენტო: ღვინის ექსპორტი 39%-ით შემცირდა 2015 წელს

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 36,07 მილიონი ბოთლი (0,75 ლ) საქართველოდან ექსპორტირებულ იყო 46 ქვეყანაში 2015 წელს, რამაც 98,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა ფულად გამოხატულებაში. 2014 წელთან შედარებით, ექსპორტის მოცულობა შემცირდა 39%-ით, განაცხადეს სააგენტოში, რაც სავარაუდოდ, ბოთლების რაოდენობას გულისხმობს და არა ფულად გამოხატულობას. რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო ექსპორტი შემცირდა მკვეთრად საქართველოს ორ უდიდეს ბაზარზე - რუსეთი (51%-ით) და უკრაინა (56%-ით), აღნიშნეს სააგენტოში. „აღსანიშნავია, რომ ექსპორტი შემცირდა მხოლოდ 2014 და 2013 წლებთან შედარებით, როდესაც რუსეთის ბაზარი გაიხსნა ემბარგოს რამდენიმე წლის შემდეგ და ექსპორტი ამ ქვეყანაში იყო უმაღლეს წერტილზე“, აღნიშნეს სააგენტოში. ამავე დროს, ექსპორტის ზრდა (122%-ით) დაფიქსირდა ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე - ჩინეთში, სადაც 2,67 მილიონი ბოთლი გაიგზავნა გასულ წელს. შედეგად, ჩინეთი რიგით მე-4 პოზიციაზე იყო ხუთეულში ქართული ღვინის ექსპორტის თვალსაზრისით რუსეთის, ყაზახეთის და უკრაინის (მე-5 პოზიციაზეა პოლონეთი) შემდეგ. ექსპორტის ზრდა შეინიშნება ევროკავშირის რიგ ქვეყნებში, ასევე: პოლონეთში - 3%-ით (1,6 მლნ ბოთლი), ლიტვაში - 4%-ით (658 666 ბოთლი), ესტონეთში - 54%-ით (506 124 ბოთლი), ნიდერლანდებში - 58%-ით (51 432 ბოთლი), საფრანგეთში - 190%-ით (37 956 ბოთლი). ამავე დროს, სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ექსპორტის ზრდაა ისეთ სტრატეგიულ ბაზრებზე, როგორიცაა აშშ - 31%-ით (248 075 ბოთლი), კანადა - 48%-ით (157 836 ბოთლი), იაპონია - 5%-ით (138 290 ბოთლი) და ა.შ. საერთო ჯამში, ღვინის, კონიაკის, ჭაჭის, ღვინო-მასალის, ჩამოსასხმელი კონიაკის და კონიაკის სპირტის ექსპორტმა მიაღწია 146,5 მილიონ აშშ დოლარს 2015 წელს.

Sarke Information News, 12.01.2016

ქართული ღვინის ექსპორტი 2015 წელს: 36 მლნ ბოთლი გაიყიდა, მიღებულია 98,1 მლნ აშშ დოლარი

საქართველოდან ექსპორტზე 36 071 399 ბოთლი ღვინო გავიდა 46 ქვეყანაში 2015 წელს, შემოსავალმა 98,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ექსპორტის მაჩვენებლებმა გამოავლინა, რომ გასულ წელს ქართულმა ღვინომ პოპულარობა მოიპოვა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორიცაა ჩინეთი, ევროკავშირი (EU) და ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ), განაცხადეს ადგილობრივმა ღვინის ექსპერტებმა. საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ჩინეთი არის ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბაზარი საქართველოსთვის, რადგანაც ღვინის ექსპორტი გაიზარდა 122 პროცენტით. გასულ წელს საქართველოდან გატანილი იყო 2 672 154 ბოთლი ღვინო ჩინეთში. ქართული ღვინო ასევე სარგებლობდა პოპულარობით მთელს ევროკავშირში: პოლონეთში - 1 600 302 ბოთლი (3%-ით მეტი); ლიტვაში - 658 666 ბოთლი (4%-ით მეტი); ესტონეთში - 506 124 ბოთლი (54%-ით მეტი); ჰოლანდიაში - 51 432 ბოთლი (58%-ით მეტი); საფრანგეთში - 37 956 ბოთლი (190%-ით მეტი); დანიაში - 34 840 ბოთლი (100%-ით მეტი). სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბაზრებია: აშშ - 248 075 ბოთლი (31%-ით მეტი); კანადა - 157 836 ბოთლი (48%-ით მეტი); იაპონია - 138 290 ბოთლი (5%-ით მეტი); ყირგიზეთი - 185 514 ბოთლი (79%-ით მეტი); ისრაელი - 35 820 ბოთლი (48%-ით მეტი) და კორეა - 24 054 ბოთლი (37%-ით მეტი). რომელი ღვინო გადის ძირითადად საქართველოდან ექსპორტზე? ყველაზე ექსპორტირებადი ქართული ღვინო 2015 წელს იყო წითელი ნახევრად ტკბილი ღვინო „ქინძმარაული“ (5 114 901 ბოთლი), წითელი

მშრალი ღვინო „მუკუზანი“ (1 827 248 ბოთლი) და თეთრი მშრალი ღვინო „წინანდალი“ (1 343 232 ბოთლი). ყველაზე მოთხოვნადი ღვინოების რიგში იყო ასევე წითელი ნახევრად ტკბილი ღვინოები „ახაშენი“ (651 348 ბოთლი) და „ხვანჭკარა“ (348 416 ბოთლი). საქართველოს მთავარი საექსპორტო ბაზრები: ხუთი ქვეყანა, რომლებმაც ყველაზე მეტი ქართული ღვინის იმპორტი განახორციელეს ჯერჯერობით ამ წელიწადში, იყო რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა, ჩინეთი და პოლონეთი. რუსეთი - 18 308 177 ბოთლი, ყაზახეთი - 5 195 949 ბოთლი, უკრაინა - 3 412 453 ბოთლი, ჩინეთი - 2 672 154 ბოთლი და პოლონეთი - 1 600 302 ბოთლი. ქართული ღვინის ექსპორტი შემცირდა: ზოგადად საქართველოს ღვინის ექსპორტი 39%-ით ნაკლებია 2015 წელს, ვიდრე წინა წელს იყო. რაც სააგენტოს თქმით, რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო მოხდა. „ღვინის ექსპორტი შემცირდა საქართველოს ორ ძირითად საექსპორტო ქვეყანაში - რუსეთში, სადაც ჩვენ ვხედავთ 51%-ით შემცირებას და უკრაინაში, სადაც ღვინის ექსპორტი შემცირდა 56%-ით“, განაცხადეს სააგენტოში. სხვა სპირტიანი სასმელები: გასულ წელს საქართველოდან გატანილი იყო 18,6 მილიონი აშშ დოლარის 7 266 755 ბოთლი კონიაკი 21 ქვეყანაში და 466 300 აშშ დოლარის 118 890 ბოთლი ჭაჭა 21 ქვეყანაში. ჯერ-ჯერობით გასულ წელს საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოვიდა დაახლოებით 146,5 მლნ აშშ დოლარი ალკოჰოლური სასმელებიდან.

agenda.ge, 5 იანვარი 2016

თაფლის საწარმო „ბრეთი“ ხელს მოაწერს მემორანდუმს ჰოლანდიელ პარტნიორებთან იანვარში

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია ირწმუნება, რომ 2016 წლის თებერვლიდან ქართული თაფლი გავა ექსპორტზე ევროპულ ბაზარზე საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატით. სამინისტროს ლაბორატორია ელის საერთაშორისო აღიარებას იანვარში. როგორც კი ევროპა დაადასტურებს, რომ ქართული თაფლი შეესაბამება ევროპულ ხარისხს და მისი წარმოება შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს, საქართველო შევა მესამე ქვეყნების სიაში და ნებადართული იქნება თაფლის ექსპორტი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ნათქვამია სტატიაში. ამ წლის ნოემბერში თაფლის საწარმო „ბრეთმა“ წარადგინა საკუთარი ნაწარმი ჰააგაში, ევროკავშირ-საქართველოს მიერ ორგანიზებული ბიზნეს საბჭოს ფორუმის შემდეგ. კომპანიის თაფლმა დაიმსახურა ჰოლანდიის სამეფო სამრეწველო კლუბის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მიმართულების ინტერესი. „სავარაუდოდ იანვრიდან ჩვენ გავაფორმებთ მემორანდუმს ჰოლანდიის სამეფო სამრეწველო კლუბის ერთ-ერთ მიმართულებასთან, რომელიც ემსახურება აღმოსავლეთ ევროპას და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს“, განაცხადა „ბრეთის“ დირექტორმა გიორგი კეპაშვილმა და დასძინა: „ჩვენ დავადგენთ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განახორციელოს ორივე მხარემ: გამოფენები, ხელშეწყობა, დეგუსტაციები, რომელსაც გამართავს ჰოლანდიის მხარე“. „მემორანდუმი ძალაში იქნება 1-2 თვის განმავლობაში, სანამ დაინტერესებული პოტენციური მყიდველი გამოჩნდება და ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ ამ კლუბის მეშვეობით ან უშუალოდ“, განცხადა მან. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ფორუმების ციკლი დაიწყო ავსტრიაში 2014 წლის ნოემბერში. მას შემდეგ გაიმართა შეხვედრები ბრატისლავაში და ბიზნეს-კონფერენცია ბრიუსელში. მეოთხე ბიზნეს ფორუმი გაიმართა ჰააგაში 24 ნოემბერს. საერთო ჯამში, 107 კომპანია მონაწილეობდა ღონისძიებაში, მათ შორის დაახლოებით 35 საქართველოდან. შემდეგი

ვიზიტი იქნება გერმანიაში, სავარაუდოდ ზაფხულში (გამოქვეყნებულია 28 დეკემბერს, 17:13).
Sarke Information News, 29.12.2015

„Giam Group“ გეგმავს მურაბების წარმოებას
„საქართველოს საერთაშორისო ინვესტორების ასოციაციის“ ინფორმაციით, საკონსერვო საწარმო “Giam Group” გეგმავს მურაბების და ციტრუსის პიურეს წარმოებას მომავალ წელს. ამ ეტაპზე კომპანია აწარმოებს მხოლოდ კონცენტრატებს და მანდარინის წვენს. კომპანიის ცნობით, კონცენტრატები სრულად გადის ექსპორტზე (ევროპაში, ისრაელში, იაპონიაში და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში), ხოლო წვენი იყიდება ასევე ადგილობრივ ბაზარზე. „Giam Group“ დაარსდა 2011 წელს ქობულეთში. ასოციაციის განცხადებით, კომპანიის ინვესტიციები აღემატება ამჟამად 6,3 მილიონ აშშ დოლარს.
Sarke Information News, 28.12.2015

რუსული კომპანია ყიდის სულგუნს ევროპაში
სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აღმოაჩინა ფალსიფიცირებული სულგუნი (ქართული ყველი) იტალიასა და ბულგარეთში, წერს გაზეთი. სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფროსის მოადგილე თენგიზ კალანდაძე განმარტავს, რომ სულგუნი რეგისტრირებულია, როგორც ქართული წარმოშობის პროდუქტი, ასე რომ მისი წარმოება სხვა ქვეყანაში განიხილება, როგორც ფალსიფიცირება. Eugeorgia.Info-ს განცხადებით ყველი, ბრენდირებული როგორც სულგუნი, მზადდება არა მხოლოდ რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის, ლატვიასა და აშშ-ში. „ევროკავშირმა და საქართველომ 2010 წელს ხელი მოაწერეს შეთანხმებას სასოფლო-სამეურნეო და სხვა კვების პროდუქტების გეოგრაფიული სახელწოდებების დაცვის შესახებ, ხოლო „საქპატენტმა“ მოახდინა სულგუნის რეგისტრირება 2012 წელს“, განუცხადა საქპატენტის (საქართველოს ინტელექტუალური უფლებების სააგენტო) თავმჯდომარემ ნიკოლოზ გოგილაძემ Eugeorgia.Info-ს. საქპატენტი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო შეთანხმების ყველის და სხვა ახლად დარეგისტრირებულ პროდუქციის დანართში ცვლილების შეტანა მოხდება 2016 წლის დასაწყისში (გამოქვეყნდა 24 დეკემბერს, 16:14).
Sarke Information News, 25.12.2015

თურქეთის Kilic Group სწავლობს თევზის წარმოების საინვესტიციო პოტენციალს საქართველოში
საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ცნობით, თურქული კომპანია Kilic Group-ის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში ჩატარდება 22-25 დეკემბერს თევზის ადგილობრივი წარმოების საინვესტიციო პოტენციალის შესწავლის მიზნით. Kilic Group საკუთარი წარმოების 75%-ის ექსპორტს აწარმოებს 40 ქვეყანაში. ვიზიტის ფარგლებში, კომპანია გაეცნო ფოთის და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიებს თევზსაშენების და ფაბრიკისთვის პოტენციური ტერიტორიის ასარჩევად, განაცხადეს სააგენტოში.
Sarke Information News, 24.12.2015

შეღავათიანი აგროკრედიტის მიმდინარე პორტფელი მოიცავს 10 359 სესხს
სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის მიმდინარე პორტფელი მოიცავს 237,05 მლნ ლარის და 105,83 მლნ აშშ დოლარის საერთო მოცულობის 10 359 სესხს. საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში 644,89 მლნ ლარის და 165,68 მლნ აშშ დოლარის 25 290 სესხი გაიცა. ამ

პროგრამის ფარგლებში 128 ახალი საწარმო დაფინანსდა, მათ შორის 5 პროექტი დაფინანსებულია პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი საწარმოების და საწყობების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში 28 პროექტი დაფინანსდა 2014-2015 წლებში, განაცხადეს სააგენტოში. ამ პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 18,85 მილიონ აშშ დოლარს, აქედან სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს 7 მილიონ აშშ დოლარს. საერთო ჯამში, 11 ახალი საწარმო დაფინანსდება ამ პროექტის ფარგლებში. აგროდაზღვევის პროგრამის ბოლო მონაცემებით, 27 000 პოლისზე მეტი გაიცა ამ დროისთვის. 38 სხვადასხვა კულტურის დაზღვეული მოსავლის საერთო ღირებულება აღემატება 190 მილიონ ლარს, ხოლო დაზღვეული ფართობი - 23 000 ჰა-ს. 2014-2015 წლებში იყო 9 934 სადაზღვევო შემთხვევა, რის შედეგადაც ანაზღაურდა დაახლოებით 14 მილიონი ლარი, განაცხადეს სააგენტოში.
Sarke Information News, 24.12.2015

5 მლნ ლარამდე დაიხარჯება პროექტზე „დანერგე მომავალი“ მომავალ წელს
სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ცნობით, 5 მილიონი ლარი დაიხარჯება მომავალ წელს პროექტის „დანერგე მომავალი“ განსახორციელებლად. 2-წლიანი პროექტი ამ წლის მარტში დაიწყო და როგორც გაირკვა, მისი განხორციელების საერთო ხარჯებმა უნდა მიაღწიოს 15 მილიონ ლარს. როგორც სააგენტოს დირექტორმა მარიანა მორგოშიამ განაცხადა, დაახლოებით 102 ბენეფიციარის განაცხადები უკვე დამტკიცებულია ამ ეტაპზე, ხოლო სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 3,96 მილიონ ლარს. თანამედროვე ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ბაღები უკვე დაირგო 730 ჰა ფართობზე, განაცხადა მან პარლამენტში სააგენტოს საქმიანობის 2015 წლის შედეგების ანგარიშში.
Sarke Information News, 24.12.2015

ქართული თაფლის ექსპორტი ევროპაში შესაძლებელი გახდება იანვრიდან
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია აცხადებს, რომ მიიღებს თაფლის ანალიზის საერთაშორისო აკრედიტაციას იანვარში. ყველა მაჩვენებლის (ანტიბიოტიკები, პესტიციდები, მძიმე ლითონები) კვლევის მეთოდების დამტკიცება დასრულდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ექსპერტების ბოლო შეხვედრაზე, აღნიშნავენ ლაბორატორიაში. თაფლის მწარმოებელი კოოპერატივებისთვის ახლად შემოტანილი მაჩვენებლების მიხედვით ტესტირება იქნება უფასო მეფუტკრეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, აცხადებენ ლაბორატორიაში, ხოლო სხვა ერთეულებისთვის მომსახურების ღირებულება დაახლოებით 250 ლარია. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო მახასიათებლების მიხედვით ტესტირება საქართველოში არ ხდებოდა. ნიმუშები იგზავნებოდა, ძირითადად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სადაც თითო ნიმუშის ტესტირება ღირს დაახლოებით 2 000 ევრო, აღნიშნულია სტატიაში (გამოქვეყნდა 23 დეკემბერს, 17:39).
Sarke Information News, 24.12.2015

FAO-ს პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ მხარდაჭერა მიიღო აკვა-კულტურების განვითარების კუთხით
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, დასრულდა გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროექტი, რომლის ფარგლებში დახმარება გაეწია სამინისტროს ლაბორატორიას და სურსათის ეროვნულ სააგენტოს აკვა-

კულტურების განვითარების თვალსაზრისით. როგორც მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე ამბობს, პროექტის ფარგლებში საქმიანობამ გაზარდა ადგილობრივად წარმოებული თევზის და თევზის პროდუქტების გაყიდვის შესაძლებლობა ნებისმიერ ბაზრებზე მსოფლიოში. კერძოდ, შეიქმნა პრიორიტეტული კვლევების (ქაფშიის უსაფრთხოების საკითხზე) და აუცილებელი ტექნიკის სია, განაცხადეს სამინისტროში. გარდა ამისა, ორი ტრეინინგი ჩატარდა 2014-2015 წლებში FAO-ს პატრონაჟით იმ ადამიანებისთვის, ვინც დაკავებულია სურსათის შემოწმებით და მეთევზეობით, ხოლო ლაბორატორიაში დანერგილი მეთოდები დაემატება აკრედიტაციის სიას 2016 წლის დასაწყისში, ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.
Sarke Information News, 23.12.2015

60 კოოპერატივამდე დაარსდება აჭარაში ENPARD-ის მხარდაჭერით
ფერმერთა კოოპერატივების შექმნა აჭარაში უკვე ხორციელდება ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარების ფარგლებში. 60 კოოპერატივამდე უკვე შეიქმნა აჭარაში ENPARD-ის მხარდაჭერით, განაცხადეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში. 3-წლიანი პროგრამის ბიუჯეტი 3,5 მილიონი ევროა, პარტნიორები არიან აჭარის მთავრობა და აჭარის „აგროსერვის ცენტრი“. უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაარსება და პროდუქციის რეალიზაციის ჯაჭვის განვითარება აჭარაში განიხილეს ბოლო მედია ტურის ფარგლებში.
Sarke Information News, 21.12.2015

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

სომხეთში სათბურების პროდუქცია 6,3 ათასი ტონამდე გაიზრდება წლიურად
ოპერატიული სტატისტიკის შესაბამისად, სომხეთის სათბურების ხილისა და ბოსტნეულის მოცულობამ შეადგინა 23,7 ათასი ტონა 2015 წელს, ხოლო 11,3 ათასი ტონა - გაიგზავნა ექსპორტზე. ნავარაუდევია, რომ პროდუქციის მოცულობა 30 ათასი ტონა იქნება 2016 წელს. „გასულ წელს სათბურების 11,3 ათასი ტონა ხილის და ბოსტნეულის ექსპორტირება მოხდა რუსეთში“, აღნიშნა სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა ინტერვიუში „არმენპრესის“ ჟურნალისტთან. მისი თქმით, სათბურები ეფექტიანად მუშაობს სომხეთში და მათი ექსპორტი გაიზრდება მომავალში. რობერტ მაკარიანის მონაცემებით, სათბურებში მოყვანილი 1 680 ტონა პომიდორი და 3 850 ტონა კიტრი სომხეთიდან ექსპორტის ძირითადი ნაწილი იყო 2015 წელს, ხოლო 2014 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 220 და 416 ტონა. ბოლოკის წარმოება ახალი მიმართულებაა სათბურებისთვის. დაახლოებით 3 189 ტონა ბოლოკი გავიდა ექსპორტზე 2015 წელს. რაც შეეხება ხილის და ბოსტნეულის ცივ საცავებში შენახვის საკითხს სომხეთში, მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ცივი საცავების ტევადობა შეადგენს 45 ათას ტონას და უმრავლესობა სრულად დატვირთულია. მოსალოდნელია, რომ ცივი საცავების რაოდენობა გაიზრდება მომავალში. მისი მონაცემებით, მხოლოდ 2015 წელს ცივ საცავებში შენახული 3,45 მილიონი ტონა ყურძენი, ვაშლი, კომში, მსხალი, ალუბალი და ხურმა გაიტანეს ექსპორტზე სომხეთიდან.
ARMENPRESS, 26.01.2016

სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროგნოზირებს ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის ზრდას 60%-ით

სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეაფასა ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის შესაძლო მოცულობა 2016 წელს, რომლის თანახმად, უარყოფითი ფაქტორების არარსებობის შემთხვევაში, ეს მოცულობა სავარაუდოდ მიაღწევს 120-125 ათას ტონას, რაც იქნება 60%-იანი ზრდა 2015 წელთან შედარებით. გასულ წელს 76 678 ტონა ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი განხორციელდა სომხეთიდან, ამის შესახებ „არმენპრესს"განუცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა. მან ისაუბრა იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც შეიქმნა რუსეთის მიერ რიგი თურქული პროდუქციის აკრძალვის შედეგად 2016 წლის იანვრიდან. „ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ სრულად დავფარავთ რუსეთის აგრარული ბაზრის სეგმენტს, რომელიც ეკუთვნოდა თურქულ პროდუქციას. ჩვენ გვინდა, რომ მხოლოდ გავზარდოთ ექსპორტის მოცულობა რუსეთში, ვისარგებლებთ რა არსებული რეალობით", განაცხადა რობერტ მაკარიანმა და დასძინა, რომ გარკვეული სამუშაოები უკვე ჩატარდა ამ მიმართულებით. კერძოდ, 27 და 30 ნოემბერს სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა ჩაატარა კონსულტაციები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტიორების მონაწილეობით. მან აღნიშნა, რომ ექსპორტიორების მონაცემების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ თურქული პროდუქცია უფრო დაბალ ფასად იყიდება, ვიდრე სომხური, მას აქვს თავისი უნიკალური ადგილი რუსეთის ბაზარზე მაღალი ხარისხის გამო. რობერტ მაკარიანი მიიჩნევს, რომ მომავალში ხილის და ბოსტნეულის ექსპორტის ზრდა არ გამოიწვევს დეფიციტს ადგილობრივ ბაზარზე, რადგანაც ნებისმიერ მეწარმეს ურჩევნია პროდუქტის პირველ რიგში ადგილზე გაყიდვა, რათა თავიდან აიცილოს პრობლემები, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს რუსეთში.

ARMENPRESS, 23.01.16

საფრანგეთი სესხს გამოყოფს სარწყავი სისტემების განახლებისთვის სომხეთში

საფრანგეთის მთავრობა მომავალ კვირას სომხეთს უზრუნველყოფს 82 მილიონი აშშ დოლარის სესხით, რომელიც გამოყენებული იქნება ქვეყნის სარწყავი ქსელების რემონტის და გაფართოებისთვის. ერევანში საფრანგეთის საელჩოს ცნობით, საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) და სომხეთის ფინანსთა სამინისტრო ხელს მოაწერენ შესაბამის შეთანხმებას 26 იანვარს. ხუთშაბათს გამოქვეყნებულ საელჩოს განცხადებაში ნათქვამია, რომ სესხი პირდაპირ სარგებელს მოუტანს 4 500 ოჯახს მეხილეობის განვითარებაში არარატის ველზე სომხეთის დედაქალაქის სამხრეთით და დასავლეთით. განცხადებაში ნათქვამია, რომ სესხი დაიხარჯება ძირითადად წყალსაცავის მშენებლობაზე დაბა ვედის მახლობლად სამხრეთ არარატის პროვინციაში. ამ გზით 3 200 ჰექტარით გაიზრდება სარწყავ-სახნავი ფართობი რეგიონში, ნათქვამია განცხადებაში. სომხეთის წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელმა არამ ჰარუთიუნიანმა ხაზგასმით აღნიშნა ვედის წყალსაცავის „სტრატეგიული" მნიშვნელობა, როდესაც ის შეხვდა AFD-ის ოფიციალურ წარმომადგენელს დეკემბრის დასაწყისში. მან განაცხადა, რომ მშენებლობა დაიწყება 2016 წელს და დაახლოებით ხუთი წელი გაგრძელდება. საბჭოთა პერიოდში აშენებულ სარწყავ ქსელებს უკვე დასჭირდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს პროცესი მოიცავდა 177 მილიონი აშშ დოლარის რეკონსტრუქციას 6 ძირითად არხზე, 17 წყლის სატუმბ სადგურსა და წყლის სადრენაჟე სისტემას არარატის და მეზობელი არმავირის რეგიონებში. ეს სამუშაოები დააფინანსა ამერიკის სამთავრობო სააგენტოს

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ. პროექტი დასრულდა 2011 წელს. მოგვიანებით, 2011 წელს მსოფლიო ბანკმა გამოყო 18 მილიონი აშშ დოლარი სესხი სარწყავი სისტემების შემდგომი განახლებისთვის ქვეყანაში, რომლითაც ისარგებლა 90 000 ფერმერმა. მიუხედავად ამისა, სარწყავი წყლის ნაკლებობა სერიოზულ პრობლემად რჩება, რაც ხელს უშლის სომხეთის სოფლის მეურნეობის განვითარებას სექტორში. 2015 წელს სომხეთის მთავრობამ მოიპოვა კიდევ ორი კრედიტი სარწყავი სისტემისთვის, მთლიანობაში 65 მილიონი აშშ დოლარი მოსკოვში დაფუძნებული ევრაზიის სტაბილიზაციისა და განვითარების ფონდისგან და OPEC-ის ნავთობის ექსპორტიორი ერების ჯგუფის კრედიტების ორგანოსგან.
რადიო თავისუფალი ევროპა / რადიო თავისუფლება, 22.01.2016

საფრანგეთის განვითარების სააგენტო გამოყოფს 75 მილიონ ევროს სომხეთისთვის
სომხეთის ფინანსთა სამინისტრო და საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) ხელს მოაწერენ 26 იანვარს შეთანხმებას არარატის ველზე სასოფლო-სამეურნეო სარწყავი სისტემის ეფექტურობის გაზრდის თაობაზე. ეს 75 მლნ ევროს პროგრამა შექმნის შესაძლებლობებს 4 500 სოფლის მეურნეობით დაკავებული ადამიანისთვის, რათა გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და გაზარდონ შემოსავლები, განსაკუთრებით 29 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის ვედის რეზერვუარის და დამხმარე ნაგებობების მშენებლობის მეშვეობით. პროექტი ასევე საშუალებას იძლევა მოხდეს 3 220 ჰა სარწყავი მიწების აღდგენა და გაფართოება და სარწყავი წყლის მოცულობის ზრდა მომხმარებელთათვის, აღნიშნულის თაობაზე განუცხადეს სომხეთში საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებმა სომხეთის ახალი ამბების სააგენტოს NEWS.am. ეს პროექტი, რომელიც AFD-ს და სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს შორის თანამშრომლობის ოქმის ფარგლებში ხორციელდება, პირველია მას შემდეგ, რაც AFD-მ დაიწყო საქმიანობა სომხეთში.
News.am, 21.01.2016

IFAD იწყებს 54 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროგრამას სომხეთში
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდმა (IFAD) დაიწყო დღეს 54 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს ფინანსური ინფრასტრუქტურის და სასოფლო თემების განვითარებას სომხეთში, განაცხადა IFAD-ის რეგიონულმა დირექტორმა ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ აფრიკასა და ევროპაში ხალიდ ბუზარმა საინფორმაციო კონფერენციაზე. მისი თქმით, 6 წლიანი პროგრამა დაეხმარება 16 000 ოჯახს სოფლებში 6 000 ჰექტარი მიწის ეფექტიან გამოყენებაში. „პროგრამის მიზანი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობაა თემების განვითარების მეშვეობით. სოფლის ეკონომიკური განვითარების ფონდი (FREDA) უკვე აქტიურად ფუნქციონირებს სომხეთში“, განაცხადა მან და აღნიშნა, რომ IFAD აღიქვამს სომხეთს, როგორც ინოვაციურ ქვეყანას. მისი თქმით, პროგრამა განხორციელდება გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) მხარდაჭერით, რომელიც დაიცავს პროგრამის გარემოსდაცვით ასპექტებს სომხეთში ჭკვიანი ტექნოლოგიების ექსპორტის გზით. პროექტის „ეკონომიკური განვითარება სოფლად“ ოფისის დირექტორმა აშოტ ვარდანიანმა განაცხადა, რომ ეს IFAD-ის მეშვიდე პროგრამაა. საერთო ჯამში, 260 მილიონი აშშ დოლარი გამოიყო ასეთი პროგრამებისთვის ბოლო 20 წლის განმავლობაში, საიდანაც 90 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია IFAD-მა განახორციელა. თავის მხრივ, მთავრობის აპარატის უფროსმა დავით ჰარუთიუნიანმა განაცხადა, რომ კეთილდღეობა სოფლად გადამწყვეტ როლს

თამაშობს სოციალურ განვითარებასა და ეკონომიკურ უსაფრთხოებაში. „აქედან გამომდინარე, ამ პროექტს მნიშვნელოვანი როლი აქვს სომხეთში“, განაცხადა ჰარუთიუნიანმა. პროგრამა განხორციელდება OPEC-ის საერთაშორისო განვითარების ფონდის (OFID), გარემოს დაცვის გლობალური ფონდის (GEF) და სომხეთის მთავრობის მხარდაჭერით.
ARKA, 21.01.2016

ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში პროცედურების გამარტივებამ ხელი შეუწყო ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის ზრდას სომხეთიდან კავშირის ქვეყნებში
სომხეთმა ექსპორტზე 76 678 ტონა ხილი და ბოსტნეული გაგზავნა 2015 წელს, მაშინ როდესაც 46 459 ტონა იყო ექსპორტირებული ამავე პერიოდში ერთი წლის წინ. ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტმა სომხეთიდან რუსეთში შეადგინა 63 919 ტონა, რაც საერთო მოცულობის 83%-ია. ექსპორტი რუსეთში 21 537 ტონა იყო 2014 წელს, რაც 45%-ს წარმოადგენს ექსპორტის მთლიან მოცულობაში. სომხეთმა ექსპორტზე 12 188 ტონა ხილი და ბოსტნეული გაიტანა საქართველოში, ბელორუსში - 312 ტონა, ყაზახეთში - 176 ტონა, მაშინ როდესაც 2014 წელს სომხეთმა სულ 18 ტონა ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტირება მოახდინა ყაზახეთში. ყურძნის ექსპორტი განსაკუთრებით გაიზარდა და შეადგინა 13 086 ტონა 2015 წელს, მაშინ როდესაც სულ 8 000 ტონა იყო წინა წელს. სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა განაცხადა რა აღნიშნული მონაცემების შესახებ ინტერვიუში „არმენპრესის“ რეპორტიორთან, განმარტა, რომ ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის ზრდა 2014 წელთან შედარებით განპირობებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადატანის წესების გამარტივებით და ხელშეწყობით. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ არ არსებობს არანაირი მონოპოლიები ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის სფეროში.
ARMENPRESS, 22.01.2016

დაახლოებით 142 თემმა სომხეთში საქონლის კოოპერატივები შექმნა
ამჟამად 142 თემში სომხეთში სასოფლო-სამეურნეო საქონლის კოოპერატივებია შექმნილი, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა პრეს-კონფერენციაზე ორშაბათს. „მიგვაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება სომხეთში დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ქვეყანაში“, განაცხადა კარაპეტიანმა. მისი თქმით, კოოპერატივებმა დაადასტურეს მათი ეფექტიანობა, რადგანაც მათი შემოსავლები გაიზარდა და საქონლის პროდუქტიულობა გაიზარდა 18-20%-ით. „კოოპერატივებმა მიიღეს 740 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მათ შორის 165 ტრაქტორი; ღირებულების 20%-ს იხდის კოოპერატივები და დანარჩენს მთავრობა“, განაცხადა კარაპეტიანმა. მისი თქმით, ასევე ელიან ახალი კოოპერატივების შექმნას წელს 50 თემში. ქვეყანაში ამჟამად დაახლოებით 3 040 მეურნეობაა.
ARKA, 29.12.2015

ხორცის ფასები სომხეთში არ იმატებს
ხორცის პროდუქციის ფასმა არ მოიმატა სომხეთში საახალწლო დღესასწაულებზე, განაცხადეს რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში. 2015 წლის დეკემბერში ფასები ხორცის პროდუქციაზე სომხეთში თითქმის უცვლელი დარჩა ნოემბერთან შედარებით. ქათმის და ფრინველის ხორცის ფასები გაიზარდა 0,3%-ით, საქონლის

ხორცის 1%-ით, ხაშის მასალა - 12,2%-ით. ამავე დროს, ღორის ხორცის ფასები დაეცა 5%-ით, ქათმის ბარკლების - 2,6%-ით, ცხვრის - 1,5%-ით და ნახევრად შებოლილი ძეხვის - 0,7%-ით, იუწყება NEWS.am. საერთო ჯამში, ხორცის ფასებმა დაიწია 3,7%-ით 12 თვეში (2014 წლის დეკემბერიდან 2015 წლის დეკემბრამდე). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევების მიხედვით, რომელიც ჩატარდა ოჯახების გამოკითხვის გზით, ბოლო 4 წლის განმავლობაში ხორცის და ხორცის პროდუქციის პროცენტული ხარჯები ოდნავ დაბალია სამომხმარებლო საქონლის კალათაში. 2010 წელს ჩატარებული კვლევებით დაახლოებით 10,2% იყო, ხოლო 2014 წლის შედეგების მიხედვით - 9,6%.

vestnikkavkaza.net, 18.1.2016

სომხეთის ახალი კანონი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობას

სომხეთის პარლამენტში დღეს მესამე და საბოლოო მოსმენით გავიდა ცვლილებების პაკეტი კანონში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ და „სამოქალაქო კოდექსში“. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა განაცხადა, რომ მოსალოდნელია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განახლებული კანონი წაახალისებს მეტ ფერმერს გააერთიანონ ძალისხმევა სასოფლო-სამეურნეო აქტივების უკეთესად სამართვად. მისი თქმით, ახალი კანონი ასევე განსაზღვრავს კოოპერატივების უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ისევე როგორც კოოპერატივში გაერთიანებული ფერმერების დახმარებას მთავრობის მხრიდან. „მცირე სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურები ვერ მოქმედებენ ეფექტურად, ხოლო კოოპერატივებში შეიძლება გაუმჯობესდეს პროდუქტიულობა ტერიტორიების გაფართოების და კულტივაციის ხარჯების შემცირების გზით“, - განაცხადა მაკარიანმა. მისი თქმით, სომხეთში უკვე არსებობს დაახლოებით 270 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლებიც საქმიანობენ საკმაოდ წარმატებულად. მთავრობა ხელს შეუწყობს კიდევ 200 კოოპერატიული მეურნეობის ფორმირებას, განაცხადა მან. კანონპროექტი მიღებულ იქნა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე „დეტალური“ განხილვის გარეშე, რამაც აღაშფოთა ზოგიერთი დეპუტატი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი უნდა მიეღოთ საფუძვლიანი განხილვის შემდეგ. თუმცა, მაკარიანის თქმით, ხელისუფლება მიიჩნევს, რომ კანონპროექტის მიღება პრიორიტეტია და განაცხადა, რომ ის შეიძლება შეიცვალოს საჭიროების შემთხვევაში მოგვიანებით. დღეისათვის დაახლოებით 3 040 მეურნეობაა სომხეთში.

21 დეკემბერი/ARKA

სომხეთის სოფლის მეურნეობაში დაფიქსირებულია 14,5%-იანი ზრდა 2015 წელს

არაოფიციალური მონაცემებით, სომხეთის სოფლის მეურნეობაში თერთმეტი თვის განმავლობაში დაფიქსირებულია 14,5-პროცენტიანი ზრდა, აქედან 11,6 პროცენტი - მემცენარეობაში, აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სამველ გალსტიანმა სამშაბათს გამართულ პრეს-კონფერენციაზე. მან დასძინა, რომ ელიან მთლიანი შიდა მოცულობის შედეგების ზრდას ასევე. გალსტიანის განცხადებით, ხორბლის, ბოსტნეულის და კარტოფილის მოცულობა ქვეყანაში გაიზარდა 2015 წელს წინა წელთან შედარებით.

22 დეკემბერი/News.am

სომხეთის მთავრობამ გამოყო 495 მილიონი დრამი სარწყავი კომპანიებისთვის ელექტროენერგიის გაძვირების სუბსიდირების მიზნით

სომხეთის მთავრობამ გამოყო 495 მილიონი დრამი სარწყავი კომპანიების დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად. უფრო სწორად, ელექტროენერგიის გაძვირების სუბსიდირებისთვის 2015 წლის 1 აგვისტოდან. თანხა გამოიყო წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტისთვის. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ჰოვიკ აბრაჰამიანმა აღნიშნა, რომ არც ერთი დრამი არ უნდა მოხმარდეს არაფერს, გარდა ელექტროენერგიის საფასურის გადახდისა. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განაცხადა გუშინ, რომ ხელისუფლებამ და რუსეთში მოღვაწე „ტაშირის ჯგუფის“ კომპანიებმა, სომხეთის ეროვნული დისტრიბუტორის „სომხეთის ელექტროქსელების“ (ENA) ახალმა მფლობელებმა, დახარჯეს 3 მილიარდი სომხური დრამი ელექტროენერგიის ფასის სუბსიდირებაზე ბოლო ოთხი თვის განმავლობაში. 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სომხეთის მთავრობა და „ტაშირის ჯგუფი“ მოახდენს ელექტროენერგიის წინა და მიმდინარე ფასებში განსხვავების სუბსიდირებას შინამეურნეობების და მცირე ბიზნესისთვის პარიტეტულ საწყისებზე 2016 წლის 31 ივლისამდე. განსხვავება 6,93 დრამია. სუბსიდიები მიეცემა ყველა ოჯახს და მცირე ბიზნესს, რომლებიც მოიხმარენ 250 კვტ.სთ/თვეში, ისევე, როგორც 0,38 კვ ძაბვის აბონენტებს, რომლებიც მოიხმარენ დაახლოებით 500 კვ/სთ-ს. ამ უკანასკნელების სუბსიდია ასევე დადგენილია 250 კვტ/სთ ფარგლებში. 17 ივნისს სომხეთის საზოგადოებრივი სერვისების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (PSRC) მისცა ხმა ელექტროენერგიის ტარიფის ზრდას 6,93 დრამამდე (0,015 აშშ დოლარით ან 16,7%-ით) ერთ კილოვატ საათზე 1 აგვისტოდან. გადაწყვეტილებამ დასაბამი მისცა ქუჩის საპროტესტო აქციებს ერევანში და სომხეთის სხვა ქალაქებში.

17 დეკემბერი/ARKA

მეღვინეების კავშირი: 2015 წელი არ იყო ხელსაყრელი სომხური ღვინის და კონიაკის მწარმოებლებისთვის

სომხეთის მეღვინეების კავშირის თავმჯდომარე ავაგ არუთინიანმა ამ წლის შედეგების შეჯამებისას ოთხშაბათს განაცხადა, რომ 2015 წელი არ იყო ხელსაყრელი ღვინის და ბრენდის მწარმოებლებისთვის სომხეთში. მან განაცხადა, რომ ექსპორტს გულისხმობდა და დასძინა, რომ ამ სეგმენტში მდგომარეობა გაუარესდა, რადგან 2014 წლიდან მოხდა რუსული რუბლის დევალვაცია. „არ არსებობს ოფიციალური მონაცემები ჯერჯერობით, მაგრამ ჩვენი შეფასება გვიჩვენებს, რომ კონიაკის ექსპორტი შემცირდა მინიმუმ 15-20%-ით 2015 წელს და ფასები კი - 25%-ით“, არუთინიანის ამ სიტყვების ციტირებას ახდენს tert.am. მან ასევე განაცხადა, რომ სომხური კონიაკის მწარმოებლები მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ დანაკარგებით. „თუ ჩვენი მწარმოებლები უარს იტყოდნენ თავიანთი პროდუქციის გატანაზე რუსეთის ბაზარზე, ისინი დაკარგავდნენ ნიშას, რომლის მოპოვებას 5-7 წელი დასჭირდა“, განაცხადა არუთინიანმა. aravot.am-ის ცნობით, არუთინიანმა განაცხადა, რომ ღვინის ბაზარს აქვს იგივე პრობლემები - ამ სეგმენტის ექსპორტი შემცირდა და ფასებმა დაიწია, რამაც მიაყენა ზარალი მწარმოებლებს. მან განაცხადა, რომ სომეხმა მეღვინეებმა მიიღეს 50%-იანი ზარალი რუსეთის ვალუტის დევალვაციის გამო. იმ შემთხვევაში, თუ სომეხ მწარმოებლებს სურთ, რომ თავიდან აიცილონ მსგავსი პრობლემები მომავალში, მათი გარიგება უნდა ეფუძნებოდეს ბარტერის მექანიზმს - უნდა მოხდეს გადახდა საქონლით საქონლისთვის. არუთინიანმა განაცხადა, რომ ეს მექანიზმი გამოიყენებოდა 1994 და 1995 წლებში თურქმენეთთან საქმიან ურთიერთობაში. სომხეთის სტატისტიკის

ეროვნული სამსახურის ცნობით, ღვინის წარმოება სომხეთში გაიზარდა 2%-ით 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში, ერთი წლის ადრე ამავე პერიოდთან შედარებით და გახდა 4 451 800 ლიტრი, ხოლო კონიაკის გამოშვება შემცირდა 9%-ით 13 426 400 ლიტრამდე. საბაჟო სამსახური აცხადებს, რომ სომხური ღვინის ექსპორტმა შეადგინა 6,3 მილიონი აშშ დოლარი 2014 წელს - 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე 2013 წელს.
16 დეკემბერი/ARKA

სომხეთში ამოქმედდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ორგანული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ინიციატივა

15 დეკემბერს ამოქმედდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალი პროექტი სომხეთში. ორგანული სოფლის მხარდაჭერის ინიციატივა (OASI) ხელს შეუწყობს ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორის პოტენციალის განვითარებას მომდევნო სამი წლის განმავლობაში. პროექტი თანადაფინანსებულია და ახორციელებს ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ორგანიზაციის ოპერატიული ერთეული. სოფლის მეურნეობა დასაქმების ძირითადი წყაროა სომხეთში და ქვეყნის მშპ-ს თითქმის 20%-ს ქმნის. ქვეყანას აქვს ორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დიდი პოტენციალი. ითვლება, რომ ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სოფლის ცხოვრების დონეს მდგრად საფუძველზე მომავალში. „ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები განსაზღვრულია სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიით“. იგი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ფერმერების და სოფლის მეურნეობის ბიზნესის მიერ ინვესტირებას ორგანულ სოფლის მეურნეობაში; მხარი დაუჭიროს წარმოების ზრდას; ახალი საერთაშორისო ბაზრების შესწავლას და ორგანული პროდუქტების ადგილობრივად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას“, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ბატონმა არმენ არუთუნიანმა. „მოხარული ვართ, რომ ვეხმარებით სომხეთის ორგანული სოფლის მხარდაჭერის ინიციატივას. ეს ადასტურებს რამდენად მნიშვნელოვანია სოფლის სექტორი ჩვენთვის და ეს იქნება დამატებითი მხარდაჭერა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD-ის პროგრამისთვის, რომელიც უკვე ხორციელდება და რომლითაც ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ ძალიან წარმატებით ავსტრიის განვითარების სააგენტოსთან“, - განაცხადა სომხეთში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ელჩმა პიოტრ ენტონი სვიტალსკიმ. ეს პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი დამატებული ღირებულების ორგანული პროდუქტების წარმოების გაუმჯობესებას, ასევე შესაბამისი საჯარო და კერძო დაწესებულებების უკეთესი ეფექტიანობის უზრუნველყოფას. ის ხელს შეუწყობს სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შექმნას ხელშემწყობი გარემო ორგანული მწარმოებლებისთვის და გადამამუშავებლებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. OASI ასევე გააძლიერებს საკონსულტაციო სამსახურებს, რათა მათ ხელი შეუწყონ ორგანული ტექნოლოგიების დანერგვას და დაეხმარება საგანმანათლებლო დაწესებულებებს სასწავლო პროგრამების განვითარებაში. პროექტის ბიუჯეტი 3,3 მილიონი ევროა და განხორციელდება სამი წლის განმავლობაში. პროექტის მხარდაჭერის დიდ ნაწილს უშუალოდ სომეხი მწარმოებლები და გადამამუშავებლები მიიღებენ საგრანტო კონკურსების მეშვეობით. მცირე გრანტები ხელმისაწვდომია მცირე ფერმერებისთვის, რომლებიც იწყებენ, დივერსიფიკაციას ახდენენ და აფართოებენ ორგანულ წარმოებას, ხოლო დიდი გრანტები ხელმისაწვდომი იქნება უკვე დამკვიდრებული ორგანული ფერმერების, კოოპერატივების და გადამამუშავებლების-

თვის პროდუქტიულობის გასაზრდელად და ბაზარზე დასამკვიდრებლად. სომეხი ფერმერების და მომხმარებლების დასარწმუნებლად ორგანული სოფლის მეურნეობის და დამატებული ღირებულების პროდუქციის წარმოების სარგებლიანობაში განხორციელდება ცნობიერების ამაღლების კამპანია. „ავსტრიას აქვს ორგანული სოფლის მეურნეობის დიდი ხნის ისტორია და დღეს სასოფლო-სამეურნეო მიწის თითქმის 20%-ის დამუშავება ხდება ორგანულად. ჩვენ ვცდილობთ, რომ ხელი შევუწყოთ ამ გამოცდილების ჩართვას ჩვენს პროექტებში, რომლებიც ეხმარება მცირე ფერმერებს გააუმჯობესონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მარკეტინგი. ორგანული სოფლის მეურნეობა ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების, ამავე დროს გარემოს დაცვისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საშუალებას იძლევა“, განაცხადა ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების დირექტორმა რობერტ ზეინერმა. ევროკავშირის დახმარებამ სომხეთში მიაღწია 500 მილიონ ევროზე მეტს 1992 წლიდან. მხარდაჭერა თანდათანობით იზრდება წლების განმავლობაში. ავსტრიის განვითარების სააგენტო მხარს უჭერს სომხეთს 2011 წლიდან, როგორც პრიორიტეტულ ქვეყანას თანამშრომლობის განვითარებისთვის განსაკუთრებული აქცენტით სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაზე.
15 დეკემბერი/Asbarez

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2016 წლის იანვრის #41 გამოცემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე:

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი
ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე: **http: eeas.europa.eu/delegations/georgia/**.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან
სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
www.nfa.gov.ge/files/images/

DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:
www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/
http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/